

0410369-00
608068100



၁၀၈၀၇၁၃၀ ၂၁-XIV.

№ 2.

၀၀၈၀၄၈၁ၩ၀ 1918 ၅.

899.962.1 (09)

5-22



ខេត្តកណ្តាល.

ខេត្ត ၁

ខេត្ត ၂



36435320
2022010132

ଶ୍ରୀନାମକଣ୍ଠ

I.—სურათი ზემოარი	1
II.—ცუცქი,—ლექსი სიხარულიძისა	3
III.—ძღვის სიზმარი,—შეგიტასი	5
IV.—აპოკლიფული ამბავი , — (გურიაში გაგონილი) ცალფეხა გი- ორგი ლომთათიძისა	11
V.—შტაცებელი, შტერის მჭამელი მცენარეები,—ლუნკევიჩიდან—იტა ნაკაშიძისა	12
VI.—საგურამისკენ,—ალექსანდრე გორგაძისა	18



ცუცქა

0

ცით—ცუცქა ვინ არის?—ძაღლი არის ეურ-ცუცქიტა,
შუურებს სულ აფლატუნებს, ღრინაჟს, როგორც ღირღიტა;

ზატარაა, მიტომაც მას დაარქვეს ცუცქა,
სხვაფერ კარგი ზნის არის, რომ არ იქოს წუწქია:—

—სამზარეულოში რომ ჩუმად შეცუცუნდება,
უყლაფერი თავდაღმა უცებ გადმობრუნდება,

აქ რძეს მოსვლებს ქოთანში, მაწვის ქილებს მოხდის თავს,
იქ უველს ჩანთქავს მსუნავი, აღარაფერს არ ზოგავს;

შესე, კუთხები ჭოვა ფქვილი რაღაც ჭურჭელში,
შიგ თავი ჭრადა უნდა მოლად გაგზავნოს მუცელში;

შირში იერის ფქვილს ბლომად, ჭელაპავს, ნერწევით ასველებს,
სასუნთქავში უცვივა, ფრუტუნებს და ასველებს...

სამზარეულო სულ-მოლად გადმოხთავდაუირა,
გაძლა და წასასვლელად თავი ზე ააღირა,

მაგრამ თქვენს მტერს მისთანა—იმას დედა უტირეს,
ქურდობაზე შეასწრეს, უჭირეს და უჭირეს;

საცოდავათ ის წელში დაიგრისა ტკივილით,
ეზო გამოაურუა წემუტუნით და კივილით,

მაგრამ რა? თქვენ ფიქრობთ—ის შემდეგ არ გასწორდა?—
თუმცა სიმზარეულოს უცებ მთლიან კერ მოშორდა,

მაგრამ ცოტა-ცოტაბით ჰქვიანდება, ისრედება,
გვკერა—აკაკარებს შეიგნებს, წუწკობაც მობეზრდება.

ისე კარგი ზნის არის, თანაც გონიერია,
მრგვალი არის, ბუნჩული, მმლავრი, ღონიერია;

არც შემჩარავი არის, არც ცხადათ იყბინება,
ცელლუტს ხტუნგა-თამაძი სულ არ მოეწეონება,

სახ გატას გააჭავრებს, სან ჰუორავს და სან ჰდრინავს,
როცა კარგად გაძლება, წამოწვება და სფრინავს.

ი. სიხარულიძე.





მილის ზღაპარი.



ეოს დღეს დიდი წითელი ბურთი აჩუქქს. ზედ
ჭრელი, გრძელ-ულფაშებიანი ჰეპელაბა დახა-
ტული. ლეო ძალიან გახარებულია, დიდი
ხანია უნდოდა სწორებ ამისთან ბურთი: ლამაზი, კოსტა, ბამბა-
სავით მსუბუქი. ხელში ერთ წუთსაც არ ჩერდება, სულ ხტუნავს!

სულ ცოტას რომ დაჭირავ ხელს, ჰერში აყარდება.

— ააა, უუურეთ! — ლეო რაც ძალა და ღონე აქვს დაჭი-
რავს ბურთს; ბურთი ავარდება, ჰერს ძოხვდება და, იქიდან
წმოსული, მირდაპირ დიდ, ძვირფას ლამპას დაუცემა.

ლეო შექვივლებს და გაძემდება:

— გაიმე, გატედა! რაღა გწნა!?

— წადი ბაღძი, იქ ითამაშე, — ეუბნება ხმაურობაზე შე-
მოსული დედა:

— შენი ბედი, რომ ბურთი მსუბუქია, და ლამპა გადარჩა.

ლეო საჩქაროდ გარიბის ბაღძი. ბილიკზე ბურთი თავია
სულლად დახტის და ლეოც გულმოღვინედ დასდევს უკან.

სახლიდან უცებ გამოსტრა ჰატარა მურია და უეფით გა-
დაღდობა ბურთს. ლეომ სწორავად დაჭირა ხელი, ბურთი ავარდა
და მურიას ცხვირს მოხვდა. მურიდ ფრუტუნებს, იბჟრტუება,
ლეო კი მსიარელად სარსარებს. გაბუტული მურია განზე
კდება და აღმაცერად შესცეკრის ბურთს.

ლეო ისევ ბურთს დაეწევა და დაუსრულებლად ახტუნებს.

არ იღლება არც ბურთი, არც მისი ჰატრონი. მაგრამ ეს

卷之九

ରେ ବରିବ? ଦ୍ୱାରାତିର ଶୁଣ୍ଡେ ପାହିରା: ଇକ୍ଷେତ୍ରା ରୁ ବିନ୍ଦୁରୁଷିର ଦେଇ
ଫୂଲ ହିଜୁରିଲା.

ჭა დიდი სანია მიტოვებულია, წეალს იქიდან აღარ იღებენ; გაუწენდელი, ბნელი, თთქოს უძიროთა.

მისვად ლეო, რომ ბურთი დაიგარება, რომ მისი ამოღება
შეუძლებელია, იქნება ბალახზე ჩამოკდა და ტირილი დაიწეო.
ბეჭრი იტირა, დაიტანცა; მის წასკლა უნდა, მაგრამ ბურთი
რომ ჭაპი დარჩება და... ლეო ხელახლა იწევებს ტირილს.

დაღმისა. დედამ დაინახა, რომ ლეო ძღვან ბრუნდება, წაკიდა საქებრად და მტირალ შეიღს თავს წააღება.

— රා තුළ, ඩේන්ඩ්‍රොලු, රා ශබුද්ධතා?

— ଦୂରତା, ଦୂରତା...—କ୍ଲାପ୍‌ଗ୍ରହିତ ମିଶନଟା ଲେଖମ କିମ୍ବାନ୍.

— ჩაგიშარდა? საწეალი ბურთი!

— ქარგია, ნუ ტირი. ტირილი რას უშეველის? წამო, ახლა
ბნელა, სეალ კსინჭოთ, იქნება როგორმე ბრძანელოთ.

დედამ მოუწინდა თვალები, სელი მოჰკიდა და შინ წა მოივანა. გზაზე ლეო თანადა-თან დამშეიდდა. დარწმუნებულია ბურთს ხებლ უსათუოდ ამოიღებენ, თუ კი დედა მოინ დომებს! დედას ხომ მკალაფერი შეუძლია.

ლეო თავის პატარა ლოგინში წევს, მაგრამ არ ეძინება: სულ ბურთხე უიწოდს.

— საწეალი ბურთი ახლა წეალში წევს, სცივა, მე კი
თბილადა ვარ. ჭაში რომ არ ჩავარდნილიერ, ჩემთან დაგაუ-
წევნდი, გაკოცებდი, გულში ჩაჭიქრავდი და ერთად დაკიძი-
ნებდით.

ლეომ სმამაღლება ამოიოსრა.

— ରା କ୍ଷେତ୍ର, ମୁଦ୍ରାକାର, କ୍ଷେତ୍ର ପ୍ରକାଶକ ଫାର୍ମରୀରେ?

დედა მოუახლოვდა ლეის საწოლს, დაიწა და აკოდა.

— დედა, რა ქარგი სუნია, მიჩვენე, მიჩვენე... სად მიდის სარ, დედა? რა ლამაზი სარ! დედას თეთრი, ლამაზად გაწყოვ

ბილი კაბა აცეია, გულზე მშვენიერი წითელი ვარდი ტქუს დაბნეული.

ლეო სუნავს ვარდს, ესვევა დედას და ჰეთცის, ჰეთცის დიდხანს.

— ქმარა, გენაცვალე, ასლა გამიშვი, თეატრში მივდივარ: სტუმრები მიცდიან. დაიძინე, მალე მოვალ.

— სირინოზების ზღაპარი, დედა, გუმინ რომ წამიკითხე... შენ რომ წახვალ, ზღაპარის ვინ მიაბიობს.

— მე რომ წაგალ, მილი მოვა, ზღაპარსაც ის გერევის,— სიცილით უთხრა დედამ და წავიდა.

— მილი მოვაო... ნეტავი როგორია მილი? საიდან შე- მოვა,— კარებმი თუ ფანჯარაში,— ფიქრობს ლეო.— ჟმ, ზღა- პარსაც მეტევის. ნეტა მალე მოვიდედეს.

ლეო უცდის, დიდხანს უცდის, უნდა მალე მოვიდეს და თანაც ცოტა ეშინია.

— რომ შემოვა, თავს საბანს ქვემ დაგმალავ,— გადასწუვიტა ლეომ; მაგრამ ძილი არ ჩანს. დაიღალა, თვალები ეხუჭება, მალად აქეერს... ისრესს, ძილი მაინც არ მოდის და არა.

ლეო რაღაც გამოუთქმელ სიამოქნებას ჸერმნობს მთელ ტანში; ლოგინი თითქოს სადღაც მისცურავს, ოთახი ნელ- ნელა ეშვება ქვევით, კბილები დაურბილდა, ლამპის გრძელი სსივები თვალებზე სწვდება.

— ეჭ, ძილი ალბად არ მოვა, დედამ მომატეუილა,— დაჭერება იმედი ლეომ და თვალები დახუჭა.

სწორედ ამ დროს ოთახის კუთხები გაჩნდა ნისლის პა- ტარა გუნდი, თან-და-თან იმატა და მალე თითქმის მთელი ოთახი გააქცო.

უეცრად ნისლის სიღრმიდან გიღაცა გამოვიდა, წენარი, მსუ- ბუქი ნაბიჯით მოებალოვდა ლეოს ლოგინს და დაიწია. თეთრი, მჭერვალე ტანისამოსი სულ წითელი ვარდებით აქვს გა-

წეობილი; გაძლილ, სშირ თმას თვალ-მარგალიტით მორტელი
გვირგვინი უმშენებს; შებლზე ვარსკვალავი უბრწეინავს.

— დედა, რა მშვენიერი სარ, დედ... ლეო წამოკადა და
ორივე ხელი გაუწოდა.

— მე დედა არა ვარ,—ჩახი, ტებილი სმით უპასუხა მო-
სულმა და გაიღიმა, სახე გაუშექდა.

— მთელი ოთახი განათდა, ვარსკვალავი აციმციმდა, ვარ-
დებმა მშვენიერი სუნი გამოსცეს.

— მე ძილი ვარ.

— ძილი?! მე მეგონა აღარ მოხვიდოდი.

— ზღაპარს მიამბობ? შენ ქარგი ზღაპრები გეცოდინება;
ნებ დედასავით ლამაზი სარ,—და ლეომ ტუჩები გაუშვირა სა-
კოცნელდე. ძილმა ორივე ხელი მოჭხვია და ალერსით უთხრა:

— წაყიდეთ, მშვენიერ ზღაპარს გეტვე, კურ რომ არ
გაგეგონოს.

ლეომ უცებ იგრძნო, რომ ლოგინს მოძორდა და ძილ-
თან ერთად ნელ-ნელა მიფრინავს ზევით. უცრად ჰერი მოა-
გონდა. შემინებულმა მაღლა აისედა.

ჰერი აღარ იქო; ლეომ ცაჲს ზანტად მიცურავდნენ ბამ-
ბასავით თეთრი ღრუბლების მთები. აი მიუახლოვდნენ კუ-
დეც ერთ მათგანს. ძილმა ურთხილად დააწვინა ზედ ლეო და
თითონ კიდეზე ჩამოკად.

ლეომ მიარულად გაიცინა და აღტაცებით ტაში შე-
მოჭერა. ღრუბლები ნელა მიცურავს და აკვანივით არწევს;
ტებილ ნანინასავით ესმის მას ძილის ნაზი სმა.

— დაისედე ქვევით!

— ლეო უცურებს: ქვევით მოსჩანს ქალაქი... რამდენი
სახლებია!

აგრ ქალაქის ბაღი; მიგ ბავშვები თამაძობენ, დარბიან, იცი-
ნიან. აი ლეოს სახლიც—რა პაწაწინაა... ლეოს უკურის, როგორ
ეტევა შიგ მამა და დედა; მია იღია სომ სულ გედარ შემოვა.

— ამ მთას იქით ვერცხლის ტბაა,—ამბობს მილი:—იმ ტბაში სირინოზები ცხოვრობენ...

— წავიდეთ სირინოზებთან; მე ძინასავს სირინოზები...

ლეო ცდილობს მოიგონოს, საღ და როდის უნასავს, მაგრამ არ აგონდება.

— კარგი!—სთქვა მილმა და უცებ გააჩერა ღრუბელი:— აბა გადმოდი.

ლეო მოძორდა ღრუბელს და მიწისკენ გამოეშურა; ეს ესაა უნდა დაეცეს; რა ნელა მოდის... გული საძინლად უცემს...

შიშით სულს ვეღარ ითქვამს... აი დაუცა კიდეც, მაგრამ სრულებით არაფერი არ სტეკნია. უცებ წამოხტა და დარცხვეუნით შეხედა ძილის. ძილმა გაიღიმა. ვარსკვლავი აციმციმდა და იქაურობა გაბათა.

— მოიხედვ აქეთ!

ლეო მობრუნდა. მის წინ მშვენიერი დიდი ტბაა. ტბის პირას ვერხვის გრძელ ტოტებზე ქანბობენ სირინოზები, მღერიან, კისკისობენ; ზოგი წეალძი დაცურზავს, ერთმანეთს უვა-გილების კონებს ესკრიან, წეალს ასხამენ. გაძლილ მწვანე თმებზე წეალის წვეთები მარგალიტებსავით ბრწევინავენ.

— რა კარგია,—აღტაცებით სთქვა ლეომ:— მეც მინდა ტბაში ვიცხოვო.

ძილმა სელი მოჰკიდა და წეალძი ჩასვა.

ლეოს სრულებით არ ეძინია, უკვირს კიდეც: რა ადეილი უოფილა ცურვა, რა სასიამოვნო. ტანისამოსიც არ დასველდა.

წეალი სუფთაა, ანკარა. ფსკერზე ეგელაფერი ჩანს. უცებ ძირში რბდაც დაინახა.

— ბოლოის კოშკი ეს არის?—ჟეკითხა მან ძილს:— წა-კიდეთ კოშკი.

— წავიდეთ,—უთხრა ძილმა.

კოშკში მაღალი კიბე ჩადის; კიბის ბოლოში კარებია. ძილმა გააღო კარები. უშველებელი დარბაზი სავსეა ათას-

ნაირი თევზებით და კიბოებით. დიდი და პატარა, თქროს და კერცხლის ფერი, ულავშებიანი და ულვაშო თევზები ერთმანეთში იწყიან, დასრიალებენ. ფსექტი მოუქნილია ლაბაზი, ჭრელი ლოკონი ებით და სხვადასხვა ფერი კენჭებით. შეაძგილას თევზები შეაგუშებულან, დიდ ფაცა-ფუცში არიან, რაღაცას დასტრიალებენ, თავს ეკლებიან; ზევიდან დაფრინას კენ ლურჯი, სიფრიფანა-ფრთებიანი პეჩელები.

ლეო უცქერის და თვალების არ უკავერის.

შეაში, რბილ მწვანე ხავსზე დექს დიდი ალისფერი ბურო; ზედ ჭრელი პეჩელა აზის. პეჩელა ულვაშებს აცმაცუნებს და ფრთებს იწმენდს, თითქოს თავის ლურჯ დებთან გასაფრენად ემზადება. ისინიც თითქოს თავისკენ იწვევენ, უხმოდ ქმასიან.

— ჩემი ბურთი! — წმოიძახა გაკვირვებულმა ლეომ.

ძილმა გაიდიმა და მოელი კოშკი გაანათა. თევზებიმა უცებ შესწევიტეს ტრიალი, ლეოს წინ ჩამწერივდნენ და დაბულა თავი დაუკრეს. განცეციფრებულმა ლეომ ძილს შეხედა.

— მაღლობას გეუბნებიან საჩუქრისთვის, — ბლერსით უთხრა ძილმა, თავი აუწია და შებლიმი აკოცა.

ლეომ ფართოდ დაჭეიტა თვალები და „ძილს“ დააშტერდა.

— რას მომაჩერდი, შეილო, ფერ მიცანი? — ჰქითხა თეატრიდან დაბრუნებულმა დედამ, ბლერსით თმაზე ხელი გადაუსვა და ბალიძი გაუსწორა.

ლეო მოესკია დედას კისერზე, აკოცა და უთხრა:


— დედიკო, იცი რა? ბურთს იქიდან ნუ ამოვიდებთ.

დედას გაეცინა.

— რატომ, გენაცვალე, რატომ ნუ ამოვიდებთ.

მაგრამ პასუხი ვერ მიიღო: ლეოს შეკე ტკბილად ემინა.

შაგიტა.



აპოკრითული ამბავი

(გურიაში გაგონილი)



მამ მმას ღომის თესლი სთხოვა. მმამ ჩუმად თესლი მოხალა და მისცა მმას. ორთავექ ცალ-ცალებე დას- თესეს ღომი, მაგრამ ერთის ეანაში ღომის თესლი არ ამოვიდა, რადგან მოხალული იყო. შემთხვევით ერთი მარცვალი გადარჩენილიყო: მთელ ეანას ის შეადგინდა. უკლის ჰატრონი ამ ერთ მირ ღომის მცენარეს; მარგლავს, სთხავს, არ უკა- ნებს ახლოს მავნე ბალახებს. მეორე მმის ეანა კი სავსეა ღომით.

შემოდგომაზე ღომის ეანები დამწიფდა და კრეფას შეუ- დგნენ. მოკრიფა სავსე ეანის ჰატრონმა და დაინახა, რომ, რამდენსაკ კლოდა, იმის შეასედიც არ მოუკიდა. მივიდა მეორე მმა თავის ეანაში იმ ერთი მირი ღომის თავთავის მოხაწევა- ტად. მოსწევიტა, ნახა—მოუწევეტელია. მოსწევიტა, შეხედა— მოუწევეტელია. კიდევ—კიდევ, კიდევ—კიდევ. ჭკრეუს—არ იღე- ვა... სულ გაავსო ამ ერთი მირი ღომის მოხავლით რაც კი ღომის შესანასი ჭურჭელი ჭკონდა. ასე გაურია ღმერთმა ხვავი მოტეულებული მმის მოხავალს, ხოლო მომტევილებული- სას კი სულ დაუკარგა ბარაქა.

ცალფეხა გიორგი ლომითათიძე





თეატრი კულტურის
მუზეუმი

შტაცეპელი, მწერის მჯამელი მცენარეები

(ლუნკვერიქან)

ასპარეზი *)

კ

ორტუგალიაში, ტიტელ კლდებზე ბლომად
შეხვდებით მწერიელაპია მცენარეებს. აი ერთი
ძათგანი.

ამ შცენარის გრძელი ფოთლები მიწის
პირად თოკიფით არიან დაგრესილნი; მაღლა
კუი ამ ფოთლებზე გამლილია საკმაოდ დი-
დი ევაფილები. მცენარე თითქო სულ შემოსილია ანკარა ნა-
მის წვეთებით. ამის გამო უწოდეს სახელად „ნამფოთოლა“.
რომ დაუკვირდეთ კარგად—ეს ნამი არ არის: წებოიანი სითხის
წვეთებია. როგორც კი კოდო-ბუზები დასკუპდებიან ამ მცე-
ნარის ფოთოლს, იმ წამსვე გაითხუნებიან წებოიან სითხე-
ბი. ასეთ მდგომარეობაში მწერს ადარ შეუძლია თავს უძვე-
ლოს: გაინძრევა თუ არა, იმ წამსვე ბლომად გამოდის ფოთ-
ლებიდან მეავე სითხე, რომელიც ინელებს მწერს და მცენა-
რის ფოთლებსა და ტანს გადასცემს.

*) იანვარი 1918 წლის „ნაკადული“, № 1.

ჩრდილოეთ რუსეთში იზრდება ჭაობში ერთგვარი მცენარე. ეს მცენარე მიწის პირად გამოიღებს სოლმე რამდენსამე ფოთოლს; ამ ფოთლებს შეა აიმართება უვაკილის ღერო, რომელსაც პატარ-პატარა უვაკილები ამეობენ. თვითეულ ფოთოლს ზედაპირზე და გვერდებზე ასხია მრავალი გრძელი წითელი წამწამები. წამწამებს ზედ აურია თაფლის ბრტყელიანა ანკარა წვეთები.

აი მოფრინავს კოდო. მორიდან დაინახა საევარქო-ლი ტკბილი საჭმელი; მიუ-შერება მისკენ პირის ჩა-სატებარუნებლად. აი შეეხო წამწამებს, გაითხება წე-ბოიანი სითხით, რომე-ლიც მას თაფლი გეონა. საწეალი კოდო! რამდენს ფრთხიალებს, უნდა თავი გაითავისუფლოს. მაგრამ ნუ ფრთხიალებ, მე საცო-დავო! ასე უფრო ენეგერ ბადები! რაც უფრო სმირად შეეხება ფეხებით წამწამებს, იქი-დან მეტი სითხე გამოდის. კოდო სულ ჩაიფლო სითხები, აღარ შეუძლია განმრევა, ემორჩილება ბედს და წენარდება.

რა მოხდა შემდეგ? საკვირველია სწორედ ეს მოვლენა! სწევებს თუ არა მწერი ფართხალს, იმ წამსკე წამწამები ეფი-ნებიან გარინდულ კოდოს და ბლომად ასსამენ მეავე წვენს; სწორაფად იხარება შიგ საბრალო ცხოველი, იხსნება სით-ხები და გაუკადება ფოთლებს; აქედან მცენარის სხვა ნაწი-ლებში გადადის. რამდენიმე სნის შემდეგ წამწამები ისევ აი-



ნამჭოთოლა



პართებიან და ახალ მსპეციალუს კლიან. ფოთლებს კი ბუჭის შეოლოდ ხონხისი რჩება.

როგორც ხედავთ, წამწამებს მოძრაობის ნიჭიც ჰქონიათ. სწორედ ასეთი ნიჭით დავიღდოებულია კიდევ ერთი მცენა-

რე, რომელსაც „ბუჭის-ჟურნალი“ ჰქვიან. ამ

მცენარის ფოთლები ნამდეილი ბუჭის და

საჭერი მანქანა არის. დაასკუბდება თუ არა

ბუჭი მის ფოთოლს, იმ წამსკე ფოთოლი

წიგნსავით დაიკეცება, შიგ მომწევდეული

ბუჭი ფრთხიალებს, მაგრამ ფოთლები უუ-

რო მაგრად იკეცებიან, ბუჭის ესობა ეკ-

ლიანი ბუჭუსები, რომელიც ფოთოლს

ბლობად ასხია; ეს ბუჭუსები გამოსცემენ

ლერწოიან სითხეს, მასთან მეავე წვენ-

საც; ბუჭი კვდება, იხსნება სითხეში და

იწრიტება ფოთლებში. შემდეგ ფოთლები

ნამცოთოლას ნაშეა-
რაც წამწამ-დახურუ-
ლი ფოთოლი.

გაიძლებიან; ზედ საბრალო ბუჭის ხონხისი აგდია, მეტი ადა-

რაფერი. ამგვარად იგვიპტებიან ეს საკვირველი მცენარენი

მწერებით. მწერის მაგიერ ხორცის პატარა ნაჭერი, ან მაგ-

რად მოხარული კვერცხი რომ დავდოთ, იგივე მოხდება. ასე

რომ ეს მცენარე ნამდგილ ხორცსაც ისე ინელებს, როგორც კოდობუჭი მოინელა.


— ქა რომ დავდოთ ხორცის მაგიერად, რას იზამს მცე-
ნარეო? — უთუოდ იყითხავთ თქვენ. — წარმოიდგინეთ, რომ არა-
უერს, თითქო აქ არაფერი არისო: არც კი გაინმრევა ფოთო-
ლი. აქედან ვხედავთ, რომ მცენარე გრძნობს თავის საკბილო
საგანს და მოძრაობს, ისე კი არ იწუხებს თავს.

რა გავიგეთ აბა ამ ორი*) სურათიდან, ჩემო პატარა მე-
გობრებო?

*) პირველი საუბარი იხ. „ნაკადული“ 1917 წლ. № 00

უკელა ცხოველსა და მცენარეს, დაიბადება თუ არა ქვე-
უანაზე, სწეურია სცოცხლე: უნდა იცოცხლოს რაც შეიძლება
დიდხას. როგორ მოეწეობა მისი ცხოვ-
რება—იქნება ბეჭნიერი თუ არა ქვეუ-
ანაზე, უკელა ეს შემთხვევაზეა დამოკი-
დებული; კარგად იქნება, თუ ბვად მისი
ცხოვრება მოწეობილი, უპირველესად
უკვლისა საჭიროა მისთვის საზრდო-
საკვები. ბეჭრი ძრობა და სერხი სჭირ-
დება ცოცხალა არსებათ საზრდოს მოსა-
ზოებლად. ჩვეულებრივი საშეალება საჭ-
შელის ძებნისა თუ უხერხულია ამა თუ
იმ მცენარისა ან ცხოველისათვის, მაშინ
მას დარჩენა ან დაღუპვა, ესე იგი გა-
ქრობა ამ ქვეუნიდან, ან უნდა მოძებნოს
ახალი რჩქე წეარო, რომ შიმშილით არ
მოკვდეს. ბეჭრი, ძრიელ ბეჭრი მცენარე
იღუპება, ზოგიერთნი კი ბეჭნიერად
ცხოვრობენ; იმათ იპოვეს სხვა გზა, სხვა
საშეალება და ცხოვრობენ კარგად; სწორედ ამათთანა ბეჭნიე-
რების რიცხვში არიან „პარაზიტები“, რომლებიც ჩვენ „მუქთა-
სორებად“ მოგნათლეთ. მუქთა-სორი მცენარეების წინაპრები,
როგორც მეცნიერები გარდმოგვცემენ, მუქთა-სორები არ ეთ-
ყილიან, ისინც სხვა მცენარეებსავით საზრდოს ჰაერიდან
და ნიადაგიდან იღებდნენ და თვითონვე ინელებდნენ თავისი
ფოთლებში, მაგრამ ძრიელ გამრავლდნენ, საზრდო უკელას
აღარ ჰქოფნის. ნიადაგი გამოიყიდა, გაღარიბდა, დადგა ერთი
მეორეზე რამდენიმე გოლგიანი წლები. აღარც სინესტე აქვს
სამუოფი მცენარეს. ამგვარ პირობებში გაუჭირდა ცხოვრება
მცენარეებს. ესენი ერთი მეორეს პრთმევდნენ საჭმელს, უმღიდ-

ბუზი-პერია



ნენ ცხოვრებას. ამ ბრძოლის დროს კინც უფრო ძლიერი იქო, ბერთი და მოებანი იმას დაწესა. ასელა რაღა რჩებოდა უდონო სუსტ მცენარეს? ორში ერთი: ან უნდა მომკვდარი იქო და გამქრალი იქო, ან და უნდა შესიზნებოდა უფრო ღონიერ, მძლავრ მეზობელის. სწორებ ეპრეც მოიტა; ასე რომ ღონიერ მცენარესთან ერთად გაჩნდა სხვაგვარი მცენარე — „პარაზიტი“, რომელიც საზრდოს იღებს არა ნიადაგიდან და კაერიდან, არამედ თავის მძლავრი მეზობლის სხეულიდან. — ამნაირად მუქთა-სორები წარმოშობა გაჭირებამ, აღზარდა სხვისმა გადაჭრიბებულმა ძალა-დონემ და გამოკიტა თავის მეზობლის ფუფუნება-კმაჟოფილებამ.

დორთა ვითარებამ შეუძლებელი შეაძლებინა მცენარეს, ის გადასცდა ჩეეულებრივ გზა - კვბლს რაღა უნდა ექნა! — მიჰეო სელი სულ სხვაგვარ სელობას. გაჩაღდა მუქთა-სორობა მცენარეთა სამეფოში. არა თუ მარტო მუქთა-სორობა, მტაცებულობა, სორცის ჭამიობაც გამოიწვია მათ შორის გაჭირება-ბამ, ეს კიდევ უფრო არა-ჩეეულებრივი წეარო საზრდოს საზოვნელად.

გაისსენეთ როგორ ნიადაგზე იზრდებიან მწერის შეაძლები მცენარენი: „სარაცენია“, „ნამფოთოლა“, „ბუზისუჭერია“, „ნეპენტესი“ და მრავალნი სხვანი. ზოგი მათგანი იზრდება ქვიშარში, ზოგი — ჭაობში, ზოგი — ქვარნალში. განა ბევრ საკვებს იძოვნის მცენარე ჭაობებსა და ქვებში? არ ჰქოონის ამ საწელებს საზრდო, რომელსაც ფეხვებით ეზიდებიან და რიბი ნიადაგიდან, უნდათ შეავსონ რითიმე დანაკლისი, რათა იცოცხელონ ქვეშანაზე. ბუნება შველის იმათ, აჯილდოებს

იძისთანა იარაღებით, რომლის დახმარებით ისინი იზიდავენ,
მწერებს, იჟერენ, ხოცავენ და სჭამენ. როგორც სედავთ, აქაც
გაჭირვებამ მიიუვანა ამ უცნაურ ზომაშის მცენარეები.

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ მუქთა-ხო-
რები და ხორცის მჭამელი მცენარეები ისეთი მცენარეები არიან,
რომელნიც ასცილდნენ ჩვეულებრივ ცხოვრების გზა-კვალს და
ერველი ღონისძიებით იბრძიან ცხოვრებისათვის, თუმც ამი-
სათვის დასჭირდათ სულ ასაღი, არა-ჩვეულებრივი წეაროების
გამოძებნა. ასეთია ცხოვრება!!

იტა ნაკაშიძე





საგურამოსაკენ

(მოგონება ახლო წარსულიდან)



ბილისიდან დილის მატარებლით გავეტგზავრე
 მცხეთისაკენ, რადგან იქიდან სოფელ საგურა-
 მოში უნდა წაგსულიერავო. ჩემი მოგზაუ-
 რობა აქეთ პირუელი იქო, და ამიტომ გზის
 მასწავლებელი კინძე უნდა მომენახა. მცხეთაში ერთი მოხუ-
 ცი ქართველი ენახე, რომელმაც სურვილი განაცხადა წამეთ-
 ლოდა. მე მას ქირის მიცემას შევპირდი და გზას გაუდექით.
 გავედით არაგვზე და წიწამურის აღმართს შეუდექით. ეს ის
 წიწამურია, სადაც ჩვენი დიდებული მგოსანი ილია გამოა-
 სალმეს ამ წუთისოფელს. მე მომავონდა წიწამურის ბედ-
 შავი დღეები.

— ძორის არის კიდევ ის ადგილი, სადაც ჩვენი ილია
 მოჟყელეს? — შევეკითხე მე მოხუცეს.

— არა, ბატონო, სულ ახლოა: აგრ ამ გორაკის იქი-
 თაა, — მომიკო მან.

ჩემი გული ამ დროს სევდაბ მოიცვა. ფიქრების აღმი
 გავეხვიყ. გულის ფანცქელით მოველოდი მენახა ის წევული
 ადგილი, სადაც ავაზაკებმა აწამეს დიდებული ილია. აი ავა-
 დით გორაზე და მიუახლოვდით ერთ მუხის სქის, რომელზე-
 დაც დადგმულია ბავი ხის კვარი.

— ბი, ეს კვაბრია, ბატონო, ილიას შეკლებობის აღდღულზე დადგმული! — მითხრა ჩემმა თანამგზავრმა მოხუცმა.

აქ, რასაკვირველია, შევჩერდით და მოწიწებით დაუწევ კითხვა იმ წარწერას, რომელიც თხელ ფიცარზე იქო მოთავსებული: „აქ მოჰქლეს საქართველოს დიდებული მეოსანი ილია ჭავჭავაძეო“.

— ოქ, რა კარგი კაცი იქო ილია, — სითქვა მოხუცმა: — მას სოფს ერთხელ ჩემ მცხეთაში მოვიდა. უგელა მცხეთელები შეგვებებეთ. ერთობ თავდაბილი და კეთილი ადამიანი იქო; მცხეთელებს ძლიერ უკავარდათ და დიდ პატივსაც სცემდნენ!

— მცხეთელებს კი არა, მთელ ქართველებს უკავარდათ — მეთქი! — მიუგე მე მოხუცს.

ორივე დიდხანს კიდევქით ჩაფიქრებული ამ ადგილას.

— ახლა კი წავიდეთ, ბატონო, თორებ დაგვაგვიანდება: დღეს გეღარ აგალთ საგურამოში; წავიდეთ, წავიდეთ! — აჩქარებით წაიბურდება მოხუცმა.

კოხი, რომელიც ხელში ეჭირა, მიწაზე დაარაკუნა, ვითომც მანიძნებდა მივდივარო და სიჩქარით გასწია. მეც, რასაკვირველია, მას გაჟევვი, თუმცა ძლიერ მენანებოდა ამ წმიდა ადგილის მოშორება.

ხქარის ნაბიჯით გავსწიეთ წინ. მშვენიერი გაკე გზა იქო და დაღლილობას სრულიად არა გვრმნობდა. მაღვე საგურამოს მიდამოებს მივაღწიეთ. მორიდან ერთ მთის მირას მთა სხანდა მშვენიერი, ორ-სართულიანი ქვის სახლი; მის გარშემო მშვენიერი ბაღები და ვენახები იქო გამლილი. ზევიდან კი ბუმბერაზი მთა დასჩერებოდა.

— ეს ილიას სახლია, ბატონო, ვენახებიც მისია; აი ის მთაც მისი იქო! — სითქვა მოხუცმა.

ცოტა სნის შემდეგ კიდევაც მივაღუქით იმ დიდებულ სახლს, სადაც ილია ცხოვრობდა. რაღაც კურ კიდევ დაღამებამდე


ბევრი ხანი დარჩენილიყო, ჩემმა მოსუცმა მოინდომა მაშას გე
მცხეთაში დაბრუნება. დანაპირები ქირა მიღეო ჩემგან, მაგ
ლობა გადამიხადა და გზას გუდგა.

ილიას სახლში მოურავდ ცხოვრობდა, წერა-კითხვის სა-
ზოგადოებისაგან დაუკავშირდა, რადგან დიდებულმა ილიამ მთვა-
ლი თავისი ქონება ქართველ ერს დაუტოვა.

მე მისვლისათანავე ილიას ეული მამული დავათვალიერე,
ვნახე ის ნიკვესის ხე, რომლის ქედაც ილიას უკვარდა ხოლმე
მოსვენება. ვნახე ის წეაროც, სადაც ილია ზაფხულობით ჰირს
დაიბანდა ხოლმე, ვნახე, აგრეთვე ის „კაბინეთი“, სადაც თქვენ,
ახალგაზდა მეითხველებო, დიდებულმა ილიამ დაგიწერათ
მძვენიერი და საუკარელი ლექსები.

დაქვე ამ სახლში გავათივ და მეორე დღეს თან გახარებული,
თან გულ-დაწევეტილი უკან გამოვბრუნდი თბილისისაკენ.

ალექსანდრე გორგაძე





ზღვის ხელმწიფოვის პრილიანტები

(იაპონური ხალხური ზღვაპარი)



ათონის მფლობელს ჰერგდა ორი კაჯ. უფროს კაჯის — ნაკასაკას — ძეტად უეგარდა თევზაობა, დაკდებოდა ზღვის პირას, გადისვრიდა ანკესს და მრავბლი თევზი, დიდი და პატარა, წამოეგებოდა ულმობელ რეინის კავზე.

უცროსი მმა ტადაიოში ღროს ატარებდა ნადირობაში: აიღებდა თოფს და მთელი დღე ტექში დადოოდა, ეძებდა ნადირს; თევზაობა კი სრულიად არ უეკარდა.

ერთხელ ტადაიოშმა მოისურეა თევზაობა ანკესით და სთხოვა უფროს მმას:

— მმა ნაკასაკა, მოდი დღეს შენ ტექში წადი ჩემი თოფით სანადიროდ, მე კი შენი ანკესი მათხოვე.

ნაკასაკას არ უნდოდა მმისათვის ანკესის მიცემა, მაგრამ ბოლოს დაუიქრდა და ათხოვა. ტადაიოშმა აიღო ანკესი, წაკიდა ზღვის პირას და დაიწეო თევზაობა. გავიდა რამდენიმე საათი, მაგრამ სელმწიფის გაუმა ვერც ერთი თევზი ვერ დაიჭირა; ბოლოს რეინის ანკესი რაღაცამ მოსწევიტა და გაიტაცა ზღვაში; როგორ მოხდა ეს, ტადაიოშმა არ იცოდა, მსოლოდ როცდა ამოსწიდა ბაწარი, ზედ ანკესი აღარ იუო.

როდესაც უფროსი მმა ნაკაბავა დაბრუნდა ტეიდან, განი-
გო თავისი ანკესის დაკარგვა, მეტად გაჯავრდა და დაიუღი-
რა:—მე მსურს, რომ ჩემი ანკესი უკან დამიბრუნო, უსათუოდ
გთხოვ უკან დამიბრუნო.

ტადაიოშმა რომ ეს მმისავან მოისმინა, მრიელ შეწუხდა,
აიღო თავისი საეკარელი სმალი, დაამტერია პატარ-პატარა
ნაჭრებად, დააშეადა ათბისი ცალი ანკესი და მიუტანა მმას; მა-
გრამ ნაკაბავამ არც კი შეხედა, გადაუარა უკელა და თავისი
ანკესი მოითხოვა.

დადონდა ტადაიოში. რას გააწეობდა? წავიდა ზღვის პი-
რად და დაიწეო მწარედ ტირილი.

ამ დროს გაიარა მოსუცებულმა ქაცმა, შეებრალა, მივიდა
და ჰქონდა:

— რა გატირებს ასე მწარედ? რამ შეგაწუხაო?!

მეფის ვაჟმა თავის თავგადასავალი უამბო.

მოსუცმა მიიევანა ვაჟი ერთ ბლაგას, რომელიც ლერწმე-
ბით იუო დაფარული, გადაშალა ლერწამი და დაანახვა ნაკი;
ჩასვა ნაკეთი, ჰერი სელი ნაფს და, როცა ნაპირს მოაშორა,
უთხრა სელმწიფის ვაჟს:

— ეს ნაკი მაღე მიგიუვანს მშვენიერ სასახლესთან, რო-
მელიც თევზის ქაცებისაგანაა გაქეთებული. ეს არის ზღვის
სელმწიფის სასახლე. სასახლის აღაების ქარებთან იზრდება
მშვენიერი აყაცია, რომლის ტოტები დახრილა ანკარა ნაკა-
დულზე. როცა იქ მიხვიდე, ადი იმ სესე, დაგინახავს ზღვის
სელმწიფის ქალი და ის გასწავლის, თუ როგორ იპოვნო
ანკესი.

ძლიერ მოასწრო ტადაიოშმა მადლობის გადახდა ამ კეთი-
ლი რჩევისათვის, ნავმა მორს გაიტაცა ემაწვილი. არ გასუ-
ლა დიდი სანი და მიცურდა ზღვის მეფის სასახლესთან, რომე-



ՀԱՅ ԹԵՐՅԻՆ ՔԱՇՎԵՃՈՒՏԵԱԳԹ ԱՅՉ ԱԺԵՆՋԵՆԴԵՂ. ՌՈՂՈՐԾ ԾՐՄԵՐԾԵՑ
ՄՆԵՄԱԿՄԱ ՄԵԽԵՐԾ, ՀՅԱԼԱՊԵՐԾ ՈՒՅ ՃԱՄԵԳՐԱ: ՏԱՏԱԿԼՈՒՄ Ի՛Ռ ՕՐՃԱ
ՄԵՋԵՆԴԵՐԾ ԵՎԱԿՐՈՒ; ԵՎՈՒ ՑՈՒ ՀՄԱՆՎՈՒԾՈՒ. ՑՈՒԾ ԽԵՆՈՒ ՄԵՋԵՋԱ
ՄԵՋՈՒԾԵՆ Ի՛ՄԼՈՒ ԱՄՈՒՏԱԾԵՎԱԾ ՄԵՋՈՒ ԱՆՎԵԼՈՒ Մ. ԱՏԱՄՏԱՆԵՐԾ
ՔԱԾԵՅԾ ՈՎՐՈՒ ՀՈՎԵՅԾՈՒ. ԾԱԾՃԱ ԵՎ ԱՐԾ ԾՈՎԵՅԾ Ի՛ՄԼՈՒ ԱՄՈՒ
ՏԱԾԵՎԱԾ, ԱՏԱՄՆՅԵ ՄԵՆԻՄԵՆ ԵՎ ԵՎ ՄԵՋԵՆԴԵՐԾ ՀՄԱՆՎՈՒԾՈՒ. ՏԵԽԵՐՅԱ
ՔԱԾԵՅԾԵ-Ի՛ՄԱԼՈՒ ԾԱԾՃԱ ՀՄԱՆՎՈՒԾՈՒ. ՔԱԾԵՄԱ ԵՎ ՏԵ ՈՎՐՈՒ ՄԱՏԵ
ՄՈԱԲԻՌԾ ՀՄԱՆՎՈՒԾՈՒ. ՀԱՅՄԱ ԳԱԼՈՒ Ի՛ՄԱԼՈՒ ԾԱ ՄԱԳԼՈՒԾՈՒ ԿՈՒՆՆԱԾ
Ի՛ԱՊՐՈՒ ԵՎԵՇՈՒ ԾԱ ԲԱՏԳՐՈՒ ՄԱՏԵ. ԵՎԵՇՈՒ ՄԵՄՆՅԵ Մոյշիրա ՄԱՅ
ՆՈՒ ՄՈՐԾ. ՄռԱՏԱՄՏԱՆԵՐԾ ՔԱԾԵՅԾ ԳԱՅՄՄԵՐՆԵՆ ՏԱՏԼՈՒՄ ԵՐԵ ԾԱ
ՄԵՋԵՆ ՀՅԱԼԱՊԵՐԾ ՈՎՐՈՒ ՄՈՒՄԱՆԵՆԴԵՂ, ՏԱԲ ԱԲՎԵՐՆԵՆ ՈՎՐՈՒ
ԵՎԵՇՈՒ, ՄԱՏԵՆ ՅԱԿԵՐՆԵ ՄՈՎՐՈՒԾՈՒ. ՔԱԾԵՄԱ ԱՏԱՄՆՅԵ ՄԱՅ
ՄԱՏԵ. ԿԵԼՄԵՆԴԻՌՅԵ ՄԹԱՅՐԱՆՈՒ ԿԵԼՄԵՆԴԻՌՅՈՒ ՀԱՅ ՏԱՏԱԿ-
ԼԵՅՄՈ ԾԱ ԳԱՅՄԱՐՈՒ ՀՈՎԵՅԾՈՒ ՀԾԵՏԱՆԵՐՆԵՐԾՈՒ.

ՄՐՈՎԵԼ ՄԵՄՄԵՎԱՐԾ ՀՅԱԼՈՎ ԾԻԾ ՈՎՐՈՒ ՄԱՏԵ. ԱՏԱԿ ՄԱՏԵ ԱՏԵ ԱՐԾ
ՆՈՎԾ ԵՒ, ՌՈՂՈՐԾ ՄԱՏԵ ՏԱՏԱԿ ՏԱԿՄԱՆ ՏԱՏԼՈՒ, ՀՅԱԼՈՎ ՄԱՅ
ՄԵՄՄԵՎԱՐԾ ԱՏ ՄԵՋՈՒ ԱՆՎԵԼ, ԱԵ ՌՈՎ ՀՈՎԾ ՏԱԿ ԱՐ ԳԱՏՄ-
ԼՈ ԾԱ ԱՏՈՆ ՀԱՅՄԱՐԾ ՀՈՎԵՅԾՈՒ ՀԾԵՏԱՆԵՐՆԵՐԾՈՒ.

ՈՒՅ

(Պատմութեան ոյնքնա)





ტავის სატესტი

(წარმოდგენილი გ. ნადარაშვილის მიერ)

ორი ქალი და ორი ვაჟი სასეირნოდ წავიდნენ. წინ მდინარე დასჭვდათ და მოიწადინეს გაღმა გასჭლა. იქვე ნავი დასჭვდათ წარწერით, რომ ნავი 4 ფუთზე მეტს კერ ზიდავს წეალშით. თითო ქალი იწონიდა 2 ფუთს, ხოლო ვაჟი 4 ფუთს... ისინი მაინც გადავიდნენ ამ ნავით მეორე ნაპირას. გამოიცა ნით—როგორ და რა ნაირად?

ხალხური ლექსი

(ნაწერილი ნ. კერძოების მიერ)

ქამეჩმა უთხორა პატრიონსა:
—ბიჭო, ნუ ხარ ენა-ფლიდი,
არას მაჭმევდი ზაფხულში,
ზღმთბოში კი არ მიყლიდი.

